საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალატოზი

კალატოზი, ქვიტკირის მაშენებელი. კ. ქვითხუროს იდენტური პროფესიაა. უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში კ-ების და კალატოზთუხუცესების დეფინიციით გამორკვეულია ამ დარგის შინაგანი სტრუქტურა და ხელობის აქტიური ხასიათი. გვიან პერიოდში კ-მა მიიღო სახლის მაშენებლის მნიშვნელობა, რ-ის მოვალეობაში შედიოდა ქვის სახლის აშენება კირის, მიწის ან ცემენტის ხსნარით.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011.

ე. ნადირაძე